

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბარდუბნის
ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის,
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს
თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ვერულაშვილის ექვსი თვის
(2017 წლის ნოემბრიდან- 2018 წლის მაისამდე)
გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

როგორც საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა და ამავდროულად საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ, მინდა წარმოგიდგინოთ ანგარიში ამომრჩევლებთან ჩემი გაწეული საქმიანობის შესახებ.

რაც შეეხება ამომრჩევლებთან შეხვედრას, რომელიც არის ძირითადი საკითხი მაჟორიტარი დეპუტატისთვის, ინტენსიური შეხვედრები მქონდა და მაქვს, როგორც ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და მოქალაქეებთან.

საანგარიშო პერიოდში დაახლოებით შევხვდი 450-მდე ამომრჩეველს: ვაპანაძეების, ქასრაშვილების, გრძელიძეების, ვარდოსანიძეების, ცქიფურიშვილების, მარგველაშვილების, ვერულაშვილების, კლდიაშვილების, ბარდაველიძეების, ცირეკიძეების, კუზევაძეების, ფორჩხიძეების უბნებში.

ამომრჩევლებთან შეხვედრისას მათ მიერ დასმული საკითხები ძირითადად ეხებოდა დაწყებული წყლის პროექტის მიმდინარე სამუშაოებს, სტიქიით დაზიანებული გზების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას, ერთგვრად ფინანსურ დახმარებას, ოპერაციის თანადაფინანსებას, მედიკამენტებით და სურსათით დახმარებას, ასევე გულის ტკივილით აღნიშნავენ ბარდუბნის საჯარო სკოლის ავარიულ მდგომარეობას, სადაც თითქმის ყველა საკლასო ოთახში ჩამოდის წყალი.

მინდა ავლნიშნო, რომ აქ დასმული პრობლემების უმეტესი ნაწილი, რომელიც ეხება წყალს, სტიქიით დაზიანებულ გზებს, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას და ბარდუბნის საჯარო სკოლის დახურვას, ბატონი ელგუჯა გოცირიძის ძალისხმევით, მერის და საკრებულოს თავმჯდომარის გვერდში დგომით მოგვარების სტადიაშია.

მინდა წარმოგიგინოთ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, ჩემი მოთხოვნის საფუძველზე, მერიის მიერ გაწეული ინფრასტრუქტურული სამუშაოები თვეების მიხედვით, ასევე გაწეული დახმარებები მოქალაქეებზე.

ნოემბერი 2017წ.

1. სოფ. ბარდუბანში , ქასრაშვილების უბანში, 300 მ გზის დაპროფილება გრეიდერით და სანიაღვრე არხის გაწმენდა;
2. სოფ. ბარდუბანში, ვარდოსანიძეების უბანში, სანიაღვრე არხის გაჭრა 150 გრძივი მეტრი და ნარჩენების გატანა;
3. სოფ. ბარდუბანში, გრძელიძეების უბანში, სანიაღვრე არხის გაჭრა 100 გრძივი მეტრი და ნარჩენების გატანა;
4. სოფ. სათემოში გზების დაპროფილება 200 გრძივი მეტრი.

დეკემბერი 2017 წ.

1. მდინარე ყვირილაზე გადასასვლელი ხიდის დაზიანებული ხის სავალი საფარის აღდგენა;
2. მდინარე ქაჩხურაზე გადასასვლელ ხიდზე მოაჯირის მოწყობა (გვადიბაძეების უბანში);
3. გრძელიძეების უბანში არსებულ ზოგირზე მოაჯირის მოწყობა;
4. მარგველაშვილების უბანში სანიაღვრე არხის გაჭრა 100 გრძივი მეტრი და გზაზე მდინარე ყვირილიდან ქვიშის შეზიდვა და დაპროფილება.

იანვარი 2018წ.

1. სოფ. ბარდუბანში 200 გრძივი მეტრი და სოფელ სათემოში 300 გრძივი მეტრი გზების დაპროფილება;
2. სოფ. ბარდუბანში გარე განათების დაზიანებული ლამპიონების შეცვლა საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მარტი 2018 წ.

1. მდინარე ყვირილიდან ოთხი რეისი ქვიშის შეზიდვა კეზევაძეების უბანში და ორი რეისი კლდიაშვილების უბანში, მათი გაშლა მოხდა მოსახლეობის მიერ;
2. ფორჩხიძეების უბანში 500 გრძივი მეტრი და კაპანაძეების უბანში 1000 გრძივი მეტრი გზის დაპროფილება, 500 მეტრი სანიაღვრე არხის გაწმენდა.

აპრილი 2018 წ.

1. საეკლესიო გზების დახრეშვა- დაპროფილება 13 მანქანა ქვიშა (91 კუბი).

ამ ექვსი თვის განმავლობაში სხვადასხვა დახმარებები გავუწიეთ მოსახლეობას, კერძოდ:
ფინანსური დახმარება მიიღო 30 ბენეფიციარმა; თანადაფინანსებით ისარგებლა 16,
მედიკამენტებით - 3, პროდუქტებით -4 ბენეფიციარმა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბარდუბნის
ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი,
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს
თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ვერულაშვილი

18.05.2018წ ვერულაშვილი